პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ____ივლისი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №22ა)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 09 ივლისის №5/38729 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- ივლისის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №22ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1; (საკადასტრო კოდი №03.01.22.737; მიწის ფართობი: 4099.00 კვ.მ), შემდგომში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №22ა)

პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ ირაკლი შენგელიას მომართვა (09.07.2024წ. №5/38729), რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №22ა-ში მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.01.22.737) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მომართვას თან ერთვის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარატმენტის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის წერილი (SSG 9 24 00151937). წერილით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნისიპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ირაკლი აბაშიძის გამზირი №22ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1; (საკადასტრო კოდი №03.01.22.737; მიწის ფართობი: 4099.00 კვ.მ), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. 108-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

წარმოდგენილია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №22ა) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი